გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 28 თებერვალს.

---

## „ი ვ ე რ ი ა“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---


ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 „ქართულ წიგნთ-საკითხავში“ დაარსდა

## ნოტებით ქართულ გალობის სწავლა

გალობას ასწავლის ბ-ნი ფ. ქორიძე, ახსნის და განმარტავს თვით ნოტების მნიშვნელობას იმ გვარად, რომ თითოეულს მოსწავლეთაგანს შეეძლოს თვითვე მონახოს ხმები და გალობა გამართოს. გალობის სწავლა შეუძლია ყველა წოდების კაცს, სწავლის ფასი არ ერთმევათ და ნოტებს ქაღალდიც მუქთად მიეცემათ. ხოლო უკეთუ ვინმე მოსწავლეთაგანი ისურვებს და თვით გალობის წარმატებისთვის შემოსწირავს რამეს, დიდის მადლობით მიღებულ იქნება. დრო და დღე დანიშნული იქნება თვით მოსწავლეთა სურვილის თანახმად. რადგან ნოტებით გალობა ახალი საქმეა ჩვენში და მისი მოსმენა ბევრისათვის საყურადღებოა, ამისთვის ყოველ დღესასწაულის წინა დღით გამოცხადებული იქნება, თუ რომელს ეკკლესიაში იგალობებს მგალობელთა გუნდი. გალობა გადაღებულია ქუთაისში იქაურ საუკეთესო მგალობელთა დახმარებით ბ-ნ ფ. ქორიძის მიერ.

კვირას, 28 თებერვალს იგალობებენ წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში

---

## საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა, და ბამბის ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განყოფილება ყოველ ზემოხსენებულის სეტყვისაგან დაზღვევისათვის. ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების საგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ და ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევს 2 საათამდე.

(50—2) დარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

---

ახლად გამართული

## პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.

(50—43)

დაიბეჭდა და გაიგზავნა გასასყიდად სხვა-და-სხვა ქალაქებსა და დაბებში

## ლექსები სილოვანისა

ფასი ათი შაური.

(6—1)

---

ქართული თეატრი

პარასკევს, 26 თებერვალს,

ქართულ თეატრის არტისტებისაგან

მ. მ. საფაროვის გამგეობით

წარმოდგენილ იქნება

## რევიზორი

ხუთ მოქმედებიანი კომედია გოგოლისა.

მოთამაშენი: ბ ნნი აბაშიძე, გუნია, გედევანოვი, სვიმონიძე, შათიროვი, კანდელაკი, საფაროვი; ქ-ნნი სარიძისა, მძინაროვისა, ტარიელოვისა, რჩეულოვისა და სხვ.

წარმოდგენის წინად ორკესტრი შეასრულებს

ღმერთო ჰფარვიდე ხელმწიფეს

ანტრაქტებში დაუკრავს

## გურულების ორკესტრი

რეჟისორი ვ. აბაშიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

გამგეობა მ. მ. საფაროვისა

ანონსი. მზადდება შემდეგი პიესები: პეპო, დრონი მეფობენ, ლანდი, ტერეზია, ორი ობოლი, ოტელო, და სხვ.

---

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა

თხზულებანი

## აკაკი

წერეთლისა

ტომი I ლექსები

გადაეცა ამხანაგობის მაღაზიას გასასყიდად

ფასი 1 მან.

(5—4)

---

დაიბეჭდა და იყიდება ტფილისსა და ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიებში

წიგნი:

## თამარ მეფე

(1184—1213)

შედგენილი

დ. კარიჭაშვილის მიერ

ფასი სამი შაური


---

# ახალი ამბავი

*** 2 მარტს, ქ. ტფილისიდგან მიდის ქ. ახალქალაქს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსია, ამავე სასამართლოს წევრის ე. ს. კოვალიოვის თავმჯდომარეობით. წევრებად იქმნებიან: თ. დ. ნ. თუმანოვი და ახალქალაქის მომრიგებელი მოსამართლე; ბრალმდებლად—პროკურორის ამხანაგი ბ-ნი რიბინი, მდივნებად: ზ. კ. მაჭავარიანი და მ. დ. ავალიანი.

*** 24 თებერვალს ქალაქის სამმართველოში დანიშნული იყო ქალაქის გამგეობის და სასანიტარო დასის წევრთა კრება. ამ კრებამ განიხილა მოხსენება მ. ი. თამამშოვისა იმის შესახებ, თუ რა გზით ვცეთ პატივი ამ ხანად ტფილისში თავ-მოყრილ მკურნალთ. კრებამ გარდასწყვიტა: საქალაქო თანხიდგან გადაიდოს 1,000 მანეთი და დაარსდეს ფონდი კავკასიის მკურნალთა საზოგადო კრებების გასამართავადაო.

*** ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის ინსპექტორი ლოლობერიძე ინსპექტორობის გარდა დათხოვნილ იქმნა აგრედვე მასწავლებლობისაგანაც. მიზეზი ყოფილა უმართებულო სიტყვები ბ-ნ ლოლობერიძისა სასწავლებლის დირექტორად ნამყოფ ბ-ნ ხარკოვის მიმართ.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შეიწყნარა თხოვნა ქუთაისის ოლქის სახალხო სასწავლებელთა დირექტორისა იმის შესახებ, რომ ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელში წლიური სწავლის ფული თვითო მოსწავლესაგან, 12 მან. მაგიერ, 14 მან. დაინიშნოს და სამეგრელოს სამოქალაქო სასწავლებელში—16 მან., 12 მაგიერ.

*** მომავალ კვირას მოხდება კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. განხილულ იქმნება ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც უკვე დაბეჭდილია და დარიგებული ამ საზოგადოების წევრთა შორის.

*** ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია ანდერძი განსვენებულ თ. დ. ს. ჭავჭავაძისა. სასამართლომ ეს ანდერძი კანონიერად იცნო და ამისათვის არ შეიწყნარა განსვენებულის ძმის საჩივარი ამ ანდერძის გაუქმების შესახებ. სასამართლომ მომჩივანს დააკისრა საქმის წარმოების ხარჯი.

*** ბათუმი: 23 თებერვალს სღამოს 10 საათზედ საქონლის მატარებლის ქვეშ ჩავარდა დაბა სამტრედიის მცხოვრები ბესარიონ ბერელაშვილი, 17 წლისა, და მატარებელმა მარჯვენა ფეხი მოსწყვიტა.

*** განჯა: 23 თებერვალს, როდესაც საქონლის მატარებელი № 49 მიდიოდა ზაზალას, ვიღამაც გაალო ვაგონი და მოიპარა ორი ყუთი ვარშავის ფეხსაცმელი 7 ფუთი და 20 გირვანქა, ორი ყუთი საკანდიტრო ნაწარმოები 8 ფ. 31 გ. და 1 ფ. 35 გ. პრომკები.

*** ჩაქვა: 23 თებერვალს ქობულეთიდან ჩაქვაში მიდიოდა მუშა მატარებელი. სადგურ ჩაქვას უმფროსს ეგონა, რომ მუშა მატარებელი კიდეც მოვიდაო, და საქონლის მატარებელი № 49 გაგზავნა ქობულეთს. კარგი რომ ორივე მატარებლის მემაშინეებმა დროზედ შენიშნეს პირდაპირ მომავალი მატარებელი და მარჯვედ შეაჩერეს, თორემ აუცილებლად დიდი უბედურობა დატრიალდებოდა.

*** გაზ. „Кавказъ“-ის სიტყვით, ტფილისში მოსულა დეპეშა, რომ ერევნის მახლობლად მთელს ერთს სომხებით დასახლებულ სოფელს მიუღია მართმადიდებელი სარწმუნოება. ამ სოფელში 50 კომლიაო.

*** როგორც „Нов. Обоз“-ს შეუტყვია, ამ ორის კვირის შემდეგ ტფილისში შეუდგებიან ტელეფონის გაყვანას. ტელეფონით შეაერთებენ ყველა 10 პოლიციის განყოფილებას პოლიცმეისტერის კანცელარიასთან.

---

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა საგანგებო კრება

16 თებერვალს

თავსმჯდომარეობდა თ. ლ. ა. მაღალაშვილის მაგიერ თ. პ. გრუზინსკი. თავსმჯდომარემ სთხოვა კრებას, კერძო საგნებს ნუ შეეხებითო.

თ. ილია ჭავჭავაძე. მე ვერ დავეთანხმები ბ-ნს თავმჯდომარეს კრებისას. მაგ საბუთიანს წესს რომ თავდაპირველადვე დავდგომოდით, მე დიდის სიხარულით დავემორჩილებოდი. ეხლა-კი, ესე იგი, მას შემდეგ, როცა მთელი ორი დღე ყურები გამოგვიჭედეს იმისთანა კერძო საგნებზე ლაპარაკითა, რომელთაც კონვერსიასთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა და შეეხებოდა მხოლოდ უმართებულოდ, უმართლოდ ხსენებას ერთისა თუ მეორის გამგეობის წევრისას პირადად, მე მგონია, უსამართლობა იქნება ჩვენც პასუხი არ გვათქმევინოთ. თუმცა მეც ვწუხვარ, რომ იძულებულ ვარ ეს ვითხოვოთ, მაგრამ რა გაეწყობა: თუ ჩვენმა მოპირდაპირეებმა ნება მისცეს თავის თავს ამ რიგად ლაპარაკისა, ჩვენც უნდა გვქონდეს ნება პასუხის თქმისა. უამისოდ კანონი კამათობის თანასწორობისა დარღვეულ იქმნება.

კრების წევრთაგან ისმის ხმა: სთქვას, სთქვას, ნება მიეცეს. თავმჯდომარემაც ნება მისცა.

თ. ილია ჭავჭავაძე. წინადაც მოგახსენეთ, დიდად სამწუხაროა, რომ კრება, საქმისათვის მოწვეული, უსაქმო საგნებზე ლაპარაკით, იძულებულნი ვართ, მოვაცდინოთ. ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენ შორის უმართებულო სიტყვის სროლას, პირადობით გამოწვეულს, ადგილი აქვს და არც ერთი კრების წევრთაგანი სარჩლს არ უწევს ღირსებას კრებისას, რომელსაც საქმე უნდა უნდოდეს და არა წვა-გლეჯა ერთმანეთისა. მართალია, პირადობა კერძოდ ჩვენზე ყრილობს ჯავრსა, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ თქვენი ამორჩეულები ვართ და ჩვენთა საქმეთა წრეში თქვენი წარმომადგენელნი. მინამ ჩვენ ეს პატივი გვაქვს თქვენგან, ჩვენ თქვენს მფარველობის ქვეშ უნდა გვეგულებოდეს ჩვენი თავი, ჩვენი ადამიანური ღირსება. ჩვენდა დიდ სამწუხაროდ, გუშინდელმა ლაპარაკმა ამისი წინაამდეგი მაგალითი დაგვანახვა და ჩვენ თვითონ, როგორც ცალკე კაცნი, იძულებულ გაგვხადა პირადობას ანგარიში გავუწიოთ, ჩვენ მიერ არა სასურველი. მართლადაც, აბა რა იყო თუნდ გუშინდელი ლაპარაკი ორატორებისა. ბ-ნ კობიაშვილის გარდა, არავის არა უთქვამს-რა მართლა საქმის შესახები, საქმის ბუნების გასამართებელი და ასახსნელი. სულ იმაზე ჰლაპარაკობდნენ თუ,—მე 1891 წ. რას ვიწერებოდი პეტერბურგიდამ, იქამდე გაკადნიერდნენ კიდეც, რომ ვრცლად გაუწყეს თქვენ, რომ მე მაშინ ავად ვიყავ და კუჭის ტკივილი მქონდა. ეს საქებური გულმტკივნეულობა ჩემთა კეთილის მყოფელთა ჩემდამი დიდად მოსაწონია ჩემგან, მაგრამ ამას კონვერსიის საქმესთან რა ხელი აქვს და რა კავშირი? გარდა ამისა ჩემის ავად-მყოფობის ამბავი მე მოვწერე კერძოდ თ. თარხნიშვილს და მართებულობაა განა, ჯერ კაცმა სხვის კერძოდ მოწერილი ბარათი წაიკითხოს და მერე გამოაქვეყნოს? მე ამას იმიტომ-კი არ ვამბობ რომ ვერიდებოდე და ვშიშობდე ჩემის წერილებიდამ რისამე გამოქვეყნებას; იქ შიში და რიდს ადგილი არა აქვს, საცა კაცს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, ხოლო კერძო წერილების კითხვა და მერე თავის წყურვილისამებრ გამოყენება წაკითხულისა უკადრისობად არის მიჩნეული ყველასაგან საზოგადოდ. მაქვს საბუთი ვთქვა, რომ მარტო დიდი მოთმინება ჩვენის კრებისა თუ შეიწყნარებს ამისთანა ამბავსა, თორემ სხვა არა რა. დღევანდელ კონვერსიისათვის რა საჭიროა, ვინ რით იყო ავად, ან ვინ რა გააკეთა, ან რა არ გააკეთა 1891 წ.

გამგეობას უსაყვედურეს, რომ შარშან 3-ს მარტს იყო დანიშნული საადგილ-მამულო ბანკების წარმომადგენელთა კრება კონვერსიის საქმეზე მოსალაპარაკებლად და ჩვენ ისეთი დაუდევარნი ვართ, რომ თავის დროზე ჩვენი კაცი არ გავგზავნეთ და ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ ჩვენი კაცი ამ კრებას სრულიად მოსცდაო. ეს მართალი არ არის. აი დაბეჭდილი ამბები ამ კრებისა, საცა სწერია, რომ თ. ავალიშვილი, ჩვენგან გაგზავნილი, კი არ მოსცდა, არამედ დაესწრო (ბ-ნი თავმჯდომარე კრებისა კითხულობს და ამოწმებს ზემო თქმულს). აი თვითონ დეპეშაც, საცა თარილი კრების მოწვევისა ისეა დაბეჭდილი, რომ ადვილად შესაძლოა 3 მარტი 13-ს მარტად წაკითხულ იქმნას (დეპეშა წარდგენილ იქმნა გასასინჯად). ბ-ნი ივ. მაჩაბელი გარწმუნებთ, რომ კონვერსია შესაძლებელი იყო, 1891 წლის მეორე ნახევარშიაც მომხდარიყო, რადგანაც ფასი ჩვენის ბანკის გირავნობის ფურცლებისა მაშინ იყოვო $100^1/_2$%. ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ჩემის წერილიდამ, რომელშიაც ვიწერებოდი, რომ იმედია, ჩვენი 5% გირავნობის ფურცელი გაიყიდოს $100^1/_2$%. ბ-ნ მაჩაბელს, რომ კონვერსიის საქმე ისე დაწვრილებით ესწავლა, როგორც ჩემი კერძო წერილები შეუსწავლია, ვერ იტყოდა, თუ მართალს არ გადუდგებოდა, რომ 1891 წ. მეორე ნახევარში შესაძლო იყო კონვერსიის მოხდენა. მართალია, ივნისსა და ივლისს 1891 წლისა დიდი იმედი მქონდა მოცემული, რომ ჩვენი გირავნობის 5% ფურცელი გაიყიდებოდა $100^1/_2$% და მეტადაც. ივლისში და 10-ს თუ 13-ს აგვისტომდე კაი ფასებში იყო ერთობ 5% გირავნობის ფურცელი სხვა ბანკებისა. მაგალითებრ, აი რა ფასი ჰქონდა გირავნობის ფურცლებს სხვა ბანკებისას 1891 წ. ივლისში: 2-ს ივლისს—$101^1/_2$—$^5/_8$%, 5-ს ივლისს—$101^3/_4$%, 19-ს ივლისს—102%, 24-ს ივლისს—$101^3/_4$%. რადგანაც ამ უკანასკნელ 8—10 წელიწადში ჩვენი გირავნობის ფურცლები იყიდებოდა ბირჟაზე სხვა ბანკების ფურცლებზე მარტო 1%—$1^1/_2$% ნაკლებ, ცხადია, რომ ამის მიხედვით უსაფუძვლო არ იყო ბანკირებს მოეცათ იმედი, რომ ჩვენი გაიყიდებოდა $100^1/_2$ და· იქნება ცოტა მეტადაც, და მე ეს იმედი სარწმუნოდ მიმაჩნია. ეს ვაუწყე გამგეობას. ასე იყო გირავნობის ფურცლების კურსის საქმე 10-ს თუ 13 აგვისტომდე, ხოლო იმ დღიდამ დაიწყო ფასების კლებამ. ეს მოხდა იმ მიზეზით, რომ ბირჟაზე ხმა გავარდა, შიმშილი თითქმის ოცს გუბერნიაში თვით მთავრობამაც მიიჩნიაო, და ამ ამბავმა ისეთი ელდა დასცა ბირჟას, რომ 13 აგვისტოს ბირჟაზე არც ერთი გირავნობის ფურცელი არ გაყიდულა. 17-ს აგვისტოს 101%-ზე ჩამოხდა, 20-ს აგვისტოს—$100^3/_4$—$^7/_8$%; 27 აგვისტოს—$99^3/_4$—$100^5/_8$, $100^1/_2$%, 3 სექტემბერს—$100^3/_4$, ისიც მარტო ხარკოვის ბანკისა გაიყიდა, 10-ს სექტემბერს—$100^1/_2$—$100^1/_4$; 13 სექტემბერს—$100^1/_2$%, $99^3/_4$ $99^7/_8$—100%. 2-ს ოქტომბერს - $99^3/_4$—$99^3/_8$%, 4-ს ოქტომბერს 100%, 9 და 11 ოქტომბერს არა გაყიდულა-რა, 15-ს ოქტომბერს—$99^3/_4$—99, 18-ს ოქტომბერს გამყიდველნი არიან—98%, მსყიდველნი არავინ, 23-ს ოქტომბერს—გამყიდველნი არიან 97%, 96% და გაყიდულია 95% და სხვანი და სხვანი. აღარ შევაწუხებთ ციფირების წაკითხვითა. აი დასამტკიცებლად გაზეთები, რომელიც ჩემს სიტყვას შეამოწმებენ, სტოლზე აწყვია. რადგანაც უტირაჟოდ კონვერსია შეუძლებელია და ტირაჟი-კი კანონით ნოემბრის პირველ დღეებში უნდა მოხდეს ხოლმე, თუ წლის მეორე ნახევარია, აქედამ ცხადადა სჩანს, რომ 1891 წლის მეორე ნახევარში კონვერსია, არამც-თუ ჩვენის ბანკისათვის შესაძლო არ იყო, არამედ იმ ბანკებმაც-კი შეუძლებლად დაინახეს, რომელთაც ნება წინადვე დართული ჰქონდათ და ნაწილი კონვერსიისა იმ წლის პირველ ნახევარში მოახდინეს კიდეც. იმათაც კი აეკრძალათ კონვერსია. ამ სახით 1891 წლის მეორე ნახევარში კონვერსია საერთოდ აკრძალულ იყო და არც მომხდარა არც ერთ ბანკისაგან. აბა ერთი ეხლა თქვენ მიბრძანეთ, საქმეში ჩახედული კაცი, საქმის მცოდნე კაცი განა უსაყვედურებდა ჩვენს ბანკს, რომ ამისთანა დროს კონვერსია შესაძლებელი იყო და თქვენ ვერ მოახერხეთო? თუნდ ეგეც არ იყოს, კონვერსიაზე მაღლა მყვირალთა რატომ არ იციან, რომ კონვერსია ჩვენთვის დღევანდლამდე შეუძლებელი იყო, რადგანაც დღეს აქამომდე ჩვენი 5% ფურცელი 100% ნაკლებ იყიდებოდა და დღეს ძლივ-ძლივობით მივახწევინეთ $100^1/_2$%-მდე; რატომ არ იციან, რომ თუ 5% გირავნობის ფურცელი 100% ზევით არ გადის ბირჟაზედ, კონვერსია ფიქრადაც მოსასვლელი არ არის. ამას ბევრი გამოძიება არ უნდა, საკმაოა მარტო ეს იცოდეს კაცმა, რომ კონვერსია სხვა არა არის-რა, გარდა დიდ სარგებლიან ქაღალდის გადაცვლა ნაკლებ სარგებლიანზე—ეს ბოლო და ბოლო საგანია კონვერსიისა, რომელიც მოსდევს ამ ჩვენს შემთხვევაში ბანკიდამ გატანილ ვალების კონვერსიასა. მართალია, დიდ სარგებლიან ქაღალდის პატრონს ამ შემთხვევაში ნება ეძლევა ან თავისი თავნი სრულიად მიიღოს, სახელდობრ, ასი ასზე, ან ნაკლებ ფასიან ქაღალდზე შესცვალოს ისევ ასი ასზევე, მაგრამ არსებითი საგანი კონვერსიისა, თავნის მაღება-კი არა, სარგებლიან ქაღალდების გაცვლაა, დიდისა ნაკლებ სარგებლიანზე. ეგ თავნის მიჩეჩება მეტირაგზობაა, საშვალებაა და არა თვით საგანი კოვერსიისა. რა-კი ასეა, აბა ეხლა თქვენა ჰკითხეთ ჩვენს კეთილის მყოფელთ: ვინ გასცვლის ას მანეთის 6%-ანს ქაღალდს, რომელშიაც შეუძლიან ასი მანეთი ნაღდი ფული მიიღოს, ასის მანეთისვე 5% ქაღალდზე, რომლის ფასიც ასზე ნაკლებია ბირჟაზე. არა მგონია, ამისთანა უთაური კაცი გამოჩნდეს სადმე. აქედამ აშკარაა, რომ, თუ დიდ სარგებლიან ქაღალდის დასახელებულ ფასს, სულ ცოტა რომ ვთქვათ, არ გაუსწორდა ნაკლებ სარგებლიანი, ერთი მეორეზე სართ დაუყრელად არავინ გასცვლის. თუნდ რომ მარტო ვალების კონვერსია იქონიოთ სახეში, აქაც რა ღონისძიებაა კონვერსიისა იმ შემთხვევაში, როცა 6% ვალში მანეთი მანეთზე უნდა მიეცეს ამ ვალში ახლად გამოცემულ 5% გირავნობის ფურცლისაგან? ისევ ის სართი, რაც აკლია ას მანეთიან 5% გირავნობის ფურცელს ნაღდ ას მანეთამდე. ვინ უნდა მისცეს ეს სართი? რა თქმა უნდა, ვალის პატრონმა. აი ამ სართის აღებ-მიცემაშია მთელი ნასკვი ამ საქმისა. მინისტრმა ვალად დასდო ბანკებს, რომ ეს სართი არამც და არამც არ აღემატებოდეს 1%. მაშასადამე, 5% ფურცელი უნდა გაყიდულიყო 99% მაინც, გარდა იმისა, რაც ბირჟაზე გაყიდ-გამოყიდვაში ხარჯი მოუნდებოდა. აბა ერთი მიბძანეთ, როცა სხვის ბანკების,—ჩვენსას არ ვიტყვი, 5% ფურცლები ჩამოხდა 25% და თუნდ 98, $98^1/_2$%, შესაძლო იყო რაიმე მოლოდინი გვქონოდა, რომ მინისტრი ნებას მოგვცემდა კონვერსიისას? ესეთი ამბავი იყო 1891 წლის მეორე ნახევარში და ამიტომ ჩვენს მოხსენებაშია ნათქვამი, რომ თუნდ ეგ ნება გვქონდა, კონვერსია იმ ხანში შეუძლებელი იყოვო. ეხლა გკითხავთ, ბატონებო, ჩვენ გატყუებდით, როცა ვამბობდით, რომ კონვერსია შეუძლებელი იყოვო, თუ ისინი, ვინც ამბობენ, რომ შესაძლებელი იყოვო. ეხლა კი ჩვენ შესაძლებლად დავინახეთ, თუ ესე წავიდა საქმე, კონვერსია მოხდეს, რადგანაც ჩვენი გირავნობის ფურცლები al pari გახდა და ცოტა გადააჭარბა კიდეც. მე ეს უცხო სიტყვა ვიხმარე, ძალიან ჩვეულებრივი და მიღებული ბანკის საქმეში, თუმცა თ. დიასამიძე ამ სიტყვას ეურჩება და გუშინ მის გამო გვისაყვედურა „კვალიდამ“ დასწავლულ საბუთებითა. რაც გუშინ თ. დიასამიძემ ილაპარაკა, მერწმუნეთ, ჩვენ წინა დღითვე ვიცოდით, რადგანაც „კვალი“ წაკითხული გვქონდა. აი რა თოფ-იარაღით მოგვესივნენ ჩვენი კეთილის მყოფელნი და აკი ვამბობთ ჩვენის მოხსენების წინაამდეგთა შორის მარტო ბ-ნმა კობიაშვილმა ილაპარაკა საქმეზე და თავისი ჰო და არა სთქვა. სხვები-კი მოუნდნენ და მოანდომეს ჩვენი დრო ცარიელს მითქმა-მოთქმასა. ბატონებო, თქვენ წინაშე დღეს გამგეობისაგან კონვერსიის თაობაზე ორგვარი სარჩელია გასარჩევი: ერთი ისა, რომ ნება მოგვცეთ სახელმწიფო ბანკის შემწეობით მოვახდინოთ კონვერსია და, თუ ეს ვერ მოგვიხერხდა, ამ საქმეში ჩვენი თავისუფალი ფული მოვიხმაროთ და კონვერსია, შეძლებისამებრ, ნაწილ-ნაწილ მაინც მოვახდინოთ. აი თუ ამის გამო ჩვენს მოწინააღმდეგეებს სათქმელი რამ აქვთ, გვიბძანონ, ან არა და თავისი აზრი გვაუწყონ, ან წინად რა გზით ჰფიქრობდნენ კონვერსიის მოხდენას, ან ეხლა ამისათვის რა ახალი გეგმა აქვთ თავისი, რაკი ჩვენსას სწუნობენ და გვკილავენ, რომ ამ საქმეში გამგეობამ უფრო მეტი ბურუსი მოგვახვიაო. ვისაც არა ჰსურს, რომ თავიდამ ბურუსი მოიშოროს და ეხალისება ბურუსში ყოფნა, ის ყოველთვის ბურუსში იქნება.

თ. ი. მაჩაბელი. მე ჯერ უარ-მიყვია ბ-ნ თავმჯდომარისაგან და გამგეობის თავმჯდომარისაგანაც გადაკვრა სიტყვებისა გუშინდელ ამბებზედ, ვითომ გუშინ აქ საგანზედ-კი არ ლაპარაკობდენ, უბრალო კინკლაობა იყო და პირადი ანგარიშებიო. პირადად რაც მე შემეხება, არც ერთი ეს ბრალი მე ჩემს თავზედ არ მიმიღია. რაც გუშინ აქ ვილაპარაკე, ყოველივე საქმეს შეეხებოდა და, თუ გამგეობას საქმესა და ფაქტებს შორის კავშირი ვერ გამოურკვევია, ეგ ჩემი ბრალი არ არის. სულ უბრალო იყო, რაც აქ ილაპარაკესო და საზოგადოება ჩემის კერძო წერილებით გაართესო. განა ეს საკადრისიაო? ვიდრე ამისთანა მძიმე ბრალს საჯაროდ სხვას კისრად ახვევთ, წინ დაიხედეთ, თქვენი მოქმედება გასინჯეთ და ისე აღიჭურვეთ ვითომ და სამართლიანის გულის-წყრომით. რას ეძახით კერძო წერილებს? წერილები ბანკის ხარჯზე მოწერილი, ბანკის საქმეში ჩაკერებული და თქვენგანვე ჩემთვის გადმოცემული გასასინჯად,—კერძო წერილებია? მე არ ვაკადრე ჩემს თავს გუშინ წამეკითხა, მაგრამ ეხლა-კი ვკითხულობ იმავე საქმიდან ბანკის ხარჯზედ გამოგზავნილს ტელეგრამას: „დღეს დაამტკიცეს ნიმუში ჩვენის გირავნობის ფურცლისა... მე უკეთა ვარ, არა მიჭირს-რა“. მერე საიდგან ჩაგივარდა ხელში ეგ წერილებიო, იქნება იკითხოთ. გუშინაცა ვთქვი, წარსულ კრების წინად მე მიველი ბანკში და სეკრეტრის ბ-ნ ბერიძის პირით ვთხოვე გამგეობას საქმეების გასინჯვის ნება. იმანაც ნება დამრთო და ყოველი აქ წაკითხული წერილები გადმომცა საქმესთან ერთად. ასე არ იყო ბ-ნო ბერიძე?

ახლა ვკითხავ კრებას, ამისთანა წერილებს განა კერძო ეთქმის? არა, ბატონებო, უკადრისი ის-კი არ არის, თქვენგან ამორჩეულს თვალ-ყურს ადევნებდეთ, მის მოქმედებას სინჯავდეთ და მისგან არჩეულს მრუდე გზას უჩვენებდეთ; ეს ყველას მოვალეობაა, ვისთვისაც-კი ღმერთს გონება მიუცია და უნარი საქმის განხილვისა მიუნიჭებია. ეს-კი არ არის უკადრისი; უკადრისი ის არის, როცა საზოგადოების თვალის ახხვევად თქვენგანვე ამორჩეული ხელში აფრიალებს საიდგანღაც გაჩენილს ტელეგრამას, ვითომ ნება-რთვა მოსულიაო, ტელეგრამას კერძოს, დიაღ კერძოს, თავის ამხანაგებისაგან დამალულს და მხოლოდ იმისთვის გამოჩენილს, რომ საზოგადოებაში ზარი და ზეიმი გამოიწვიოს და მეორე დღეს გაზეთებში ხოტბა-ქება აწერინოს!! ტყუილი იყო, რაც გუშინ ითქვაო. არაფერი ტყუილი არა ყოფილა-რა. ტყული იყო უთავბოლო ტელეგრამის გამტყუნება? ტყუილი იყო, რომ თავმჯდომარე გამგეობისა მინისტრთან ნება-რთვის უქონელად გამოცხადდა? ტყუილი იყო, რომ სამი ცამეტად მიიღეს? აი სია კრებაზე დამსწრე პირთა/და თ. ავალიშვილიც იქა ყოფილაო. მე მივმართავ თ. ავალიშვილის პატიოსნების გრძნობას, რომელზედაც მე ჩემს დღეში ეჭვი არ შემიტანია, ამიხსნას, როდის წაბრძანდა პეტერბურგს და რამდენ კრებაზედ დაესწრო?

თ. დ. ავალიშვილი. მე წაველი მარტის 2-ს, სრულიად დარწმუნებული, რომ კრება 13-ს დაიწყებოდა. თურმე 3-ს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ორი დღით დაიგვიანეს და უკანასკნელს სხდომას-კი დავესწარი.

თ. ი. მაჩაბელი. შეადარეთ თ. ავალიშვილისაგან გულ-წრფელად აღსარებული შეცდომა ბ-ნ გამგეობის თავმჯდომარის რიხს, როცა იმან წარმოგვიდგინა სია თ. ავალიშვილის გვარით. განა ამის მომქმედს ნება აქვს საქმიანობა დაიკვეხოს და შრომა-ჯაფით თავი მოიტანოს?

წარმოგვიდგინეს ბიულეტენი იმის დასამტკიცებლად, რომ აგვისტოში კურსი დაეცაო. გუშინაც ვსთქვი, კურსი არ დაცემულა აგვისტოს განმავლობაში ცოტაც არის შესამჩნევად და ზოგის კურსმა აიწია კიდეც, ასე რომ ეს ხელზე დასახვევი არ არის. თ. ჭავჭავაძის წერილებიდგანა სჩანს, რომ ნება-რთვა მიუვიდოდა თუ არა, მაშინვე მოახერხებდა კონვერსიას. ნება-რთვა დროზედ მიუვიდა, მაგრამ მაინც რომ ვერა მოახერხა-რა, კურსის დაცემას დააბრალა. ეგ ბიულეტენები-კი არა, ქვეყნის ბიულეტენებიც რომ მოიტანოთ, მაინც გუშინდელ ციფირებს

ვერ გაამტყუნებთ. თავი მოგაქვთ კიდევ იმითი, რომ პეტერბურგში ყოფნის დროს კონვერსიის საქმე ზედმიწევნით შევისწავლეთო. გუშინ გამგეობის ერთმა წევრმა რაღაზედაცა სთქვა, კონვერსიის მაგიერად მსესხებელთ გადააგირაოვეს ხუთ-პროცენტიანებზედ თავიანთი მამულებიო. გთხოვთ მიპასუხოთ, კონვერსია და გადაგირავება ერთი და იგივეა, თუ არა?

თ. ილ. ჭავჭავაძე. რას`კვირველია, ერთი და იგივე არ არის.

თ. ი. მაჩაბელი. თუ ერთი და იგივე არ არის, მაშ რაღას ეტყვით აი ამ თქვენ პროტოკოლს, ნოემბრის 5 1891 წ. დადგენილს: „ბ-ნ კობიაშვილის წინადადების გამო, გამგეობამ ბანკისამ დაადგინა და სრულიად საფუძვლიანად იცნო, რომ გადაგირავება საუკეთესო საშუალებაა კონვერსიისა“. აი, ამ ცოდნით შეჭურვილები გვიკიჟინებთ უსაქმობას, უმეცრებას, პირადობის ანგარიშებს, მაგრამ კაცს, როცა სხვა იარაღი აღარა დარჩენია-რა, რა ჰქნას?..

თ. ზ. ჭავჭავაძე. რა უბედურებაა, რომ, სამი დღეა აგერ, ვზივარ და ვისმენ ისეთს ლაპარაკს, რომელიც სრულიად არ არკვევს საქმეს. ვერ გამიგია, რა საჭიროა ასეთი კინკლაობა, კერძოობისა და პირადობის შესახები ლაპარაკი. ჩვენ ხომ მოსამართლენი არა ვართ, რომ ან ის გავიკითხოთ, ან ისა. ჩვენ იმიტომ შევიკრიბეთ, რომ განვიხილოთ, მიეცეს თუ არა ბანკის გამგეობას ნება, კონვერსია მოახდინოს ამა თუ იმ წესით. ამის მიგიერ მოვყოლივართ და გაგვიბავს ლაპარაკი იმაზე, რომ ამას კუჭი სტკივა, იმას სურდო შეხვდაო. რაშა ჰგავს ესა! თ. მაჩაბელი გვარწმუნებს, რომ თავმჯდომარე ბანკის გამგეობისა დაუდევარი და უზრუნველი კაციაო, მე ვსჯობივარო; მე კი მგონია, რომ თავსმჯდომარე გამგეობისა შესაფერია თავის ადგილისა და თანამდებობისათვის. რა ადგილი აქვს აქ ამისთანა უცნაურს ლაპარაკს. კარგია თუ ავი თ. ჭავჭავაძე, მაგის გადაწყვეტის დროც მოვა. მაშინ მოვყვეთ და გავიკითხოთ მისი მოქმედებანი სათითაოდ, დავითხოვოთ უვარგისნი და მათ მაგიერ დავაყენოთ უფრო ნიჭიერნი და შესაფერნი, ათასი რომ არ ვარგოდეს თ. ჭავჭავაძე, ეხლა ხომ ვერ შევიძლებთ მაგის დათხოვნას. მაშ რას ჩავცივებივართ ამ საგანს. ვოველ ამის გამო უმორჩილესად ვსთხოვ კრების თავსმჯდომარეს, ნულარავის მისცემს ნებას ასეთის პირადის კინკლაობისას და ყველა ალაპარაკოს მხოლოდ საკამათო საგნის შესახებ, ესე იგი, მივსცეთ თუ არა ბანკის გამგეობას ნება კონვერსიის ასე თუ ისე მოახდენად.

(დასასრული იქნება)

## ქუთათური თეატრი

წერილი მეორე

ქ-ნ ეფ. მესხის ბენეფისი

(დასასრული *)

მარგარიტას როლი ერთი იმ როლთაგანია, რომელსაც მადლიან როლს ეძახიან. თუ ცოტა რამ უნარი აქვს მოთამაშეს, თუ ცოტა რამ ნიჭი შესწევს—ეს როლი გამოაჩენს, მაგრამ ვაი იმისი ბრალი, ვისაც არც ერთი ეს თვისება არ აბადია. ქუთათური საზოგადოება, რომელიც გულ-მოდგინედ ადევნებდა თვალ-ყურს ქ-ბნ მესხის წინანდელ თამაშს, დარწმუნებული იყო, რომ მობენეფისე პირნათლად გამოვიდოდა ამ განსაცდელისაგან და სწორედ ასედაც მოხდა.

მაგრამ ჩავუდგეთ კვალ და კვალ პიესის მოქმედებას და განვიხილოთ მისი თამაში. ყველაზედ უფრო საეჭვო პირველი მოქმედება იყო. ქ-ბნი მესხი არსად დიდ ქალაქებში არა ყოფილა; კარგი სცენა და კარგი მოთამაშენი იმას არ უნახავს; მაშასადამე, არც ცხოვრების დაკვირვებით, არც კარგის არტისტის ქალის თამაშობით არ უნდა ჰყოლოდა გაცნობილი იმ ტიპის ქალი, რომელიც ჩვენ გვეხატება დიუმას პიესის პირველ მოქმედებაში. მაგრამ მისმა ბუნებრივმა მიხვედრილობამ სძლია ამ გასაჭირსაც.

სცენაზე შემოდის მოხდენილად და, რაც შეიძლება შნოიანად, ჩაცმული ქალი, უდარდელი, ცქრიალა, რომელსაც, როცა დროა, ღირსეულად უჭირავს თავი (ასე მოიქცა, როცა გააძევა სახლიდგან „თავ-მომაბეზრებელი აშიყი). ის არის თაიგული სიამოვნებისა და შექცევისა მთელის საზოგადოებისათვის. პირველად არმანსაც ასევე ეპყრობა—ცელქისა და მალხაზის ქცევით, მომხიბლავისა და ალერსიანის ღიმილით აიმედებს და ათრობს, მაგრამ, როცა არმანის ღრმა სიყვარულს მიხვდება, იცვლის კილოს და დარბაისელ ადამიანის სახით ელაპარაკება. ჩემის აზრით, ქ-ბნ მესხს რომ კიდევ უფრო მეტი უდარდელობის და სიამოვნების ტრფიალი გამოეჩინა, არ იქნებოდა ურიგო, რადგან ეს მეტს კონტრასტს და საზღვარს დასდებდა მის სიცოცხლის პირველსა და უკანასკნელ დროთა შორის. ყოველ შემთხვევაში პირველ მოქმედების გათავებისას საზოგადოებამ იგრძნო, რომ დახელოვნებულსა და ნიჭიერ არტისტ-ქალს ჰხედავს თვალ-წინ. დანარჩენ მოქმედებათა ბედი საეჭვო აღარ იყო. მართლაც, მეორე მოქმედება ქ-ბნმა მესხმა მშვენიერად გაატარა. რა გრძნობა არ გაგვითვალისწინა მთელის თავის სისრულითა და სინამდვილით! ჯერ მოწმად გაგვხადა მის გულში ჩასახულ სიყვარულის ზრდისა მერე მიიღებს არმანს და ცოცხლად დაგვიხატავს, თუ სახის და თვალების მეტყველებით, თუ მიხვრა-მოხვრით, სიყვარულის ნამდვილ სურათს, თან მშობლიურს ზრუნველობას იჩენს თავის საყვარელისადმი. შემდეგ, როცა მათ შორის იჭვიანობა ჩამოვარდება, არმანი საწყენს წერილს მისწერს და გოგო ეკითხება, პასუხი თუ იქნებაო, ქ-ბნი მესხი კუშტად და მკვეთრად ეუბნება: „არა, კარგია-თქო უთხარი“. ბოლოს შერიგება მოხდება და ეს შერიგების სცენა ხომ საუცხოო იყო. მთელი ეს მეორე მოქმედება, როგორც ზევითა ვსთქვი, თავიდამ ბოლომდე უნაკლულოდ და გადუჭარბებლად გაატარა ქ-ბნმა მესხმა, ისე როგორც ეკადრებოდა კარგსა და დახელოვნებულ არტისტს.

მესამე მოქმედებაში ხომ სულ გადააჭარბა მობენეფისემ ჩვენს მოლოდინს. საუცხოვო იყო, როცა სიყვარულით დაამებული და სულით დამშვიდებული, კიდევ მეტს მომავალ ბედნიერების ფიქრშია; კარგი იყო აგრეთვე, როცა არმანის მამას ეცილება თავის ბედნიერებაზე და ყველაფერს სჭიდებს ხელს, ცოტა რამ დაინარჩუნოს თავისთვის; მაგრამ ის სცენა-კი, როცა მარგარიტა გადასწყვეტს, არსით საშველი აღარ არისო, და თავის თავად ეთხოვება ყოველსავე სიტკბოებას და იმედს, მობენეფისემ ისეთის ძლიერებით ვერ გაატარა, როგორც სხვა ადგილები; ცოტა უნდა ჩაფიქრებულიყო: აქ წყდებოდა მთელის მისის სიცოცხლის ბედი და იღბალი. მჭმუნვარება, სევდა, ნაღველი და ათასი მწარე ფიქრები უნდა აღბეჭდოდა სახეზე. ამ სცენის სამაგიეროდ მობენეფისემ გვაჩუქა ისეთი შეუდარებელი გრძნობით სავსე გამოთხოვება არმანთან, რომ მარტო ის იკმარებდა მისის სახელისათვის. სიყვარულით გამსჭვალული გული სწორედ რომ გრძნობის ზღვა ყოფილა: როგორ დაუჩივლდა, როგორის სინაზით და ალერსით ეთხოვებოდა ეს გულ-ჩათუთქული და ლონე მიხდილი ქალი—სწორედ გასაოცარი იყო. მეოთხე მოქმედების შესახებ არას ვიტყვი, რადგან ისედაც გაგრძელდა ჩემი წერილი. ვიტყვი მხოლოდ, რომ აქაც მობენეფისემ თითქმის უნაკლულოდ შეასრულა თავისი როლი.

მეხუთე მოქმედებაში თამაშობა-კი, ჩემის აზრით, სრულიად უნდა შესცვლოდა. პირველი ეს, რომ სახე ვერ შეეფერებოდა ჭლექიან მომაკვდავის სახეს. მეორე—ხველა მეტად ხშირი ჰქონდა და სინამდვილე აკლდა. ხმაც ვერ ჰქონდა შეფერებული. ამასთან ნამეტნავად აგრძელებდა სისუსტის გამო სიტყვებს. ამას გარდა, როცა კვდება, იატაკზე როდი უნდა დაეცეს და შეჰკივლოს. დედანშიაც ასეა ნაჩვენები და ისეც საფიქრებელია, რომ უნდა დაეშვას სელზე დასაჯდომად და მშვიდობიანად მიიძინოს. ასე რომ ერთხანს ვერც-კი გაიგებენ იქ მყოფნი, მიძინებულია თუ განსვენებულიო. თუმცა მეხუთე მოქმედება შედარებით სუსტი იყო, მაგრამ ის სიხარულისა და გულის სიღრმიდგან ამოვარდნილი ხმა, რომლითაც არმანს მიეგება, მთელ წარმოდგენად ჰღირდა. რაღაც ჟრუანტელმა დაუარა ყველა მაყურებლებს ტანში, თმა აებურძგლათ და ზოგმა ქვითინიც დაიწყო.

არმანის როლს თამაშობდა ბ-ნი კ. მესხი. ამ არტისტს ყველა კარგად იცნობს და იმის თამაშობის გამო ბევრს აღარას ვიტყვი. შემდეგშიც გვექნება შემთხვევა ვსთქვათ რაიმე. აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამ ნიჭიერ არტისტს ჩვილისა და ნაზის გრძნობის გამოხატვა ისე არ ეხერხება, როგორც ძლიერის, სასტიკის და მრისხანე ხასიათის დახურათება. ეხლა არც გრიმი ჰქონდა შესაფერი. ის უფრო ოც-და-ათის წლის, ბევრის გამონაცად კაცს ჰგავდა, ვიდრე ოცის წლის ჭაბუკს. მეოთხე მოქმედებაში მაინც, როცა არმანი აღელვებულია, შეგუბებულის მძულვარებით ეძებს შემთხვევას, შფოთი რამ აუტეხოს მარგარიტას საყვარელს, და სასტიკ შეურაცხებას მიაყენებს საბრალო მარგარიტას, მაშინ ბ-ნი კ. მესხი სრულის სავსებით იჩენს თავის ნიჭს.

არმანის მამის როლს რიგიანად თამაშობდა სცენის მოყვარული ბ-ნი ბადრიძე. ამ არტისტს ეტყობა, რომ დიდი ნაბიჯი წაუდგამს წინ უკანასკნელ დროში.

დასასრულ, უნდა მოვიხსენიოთ ის საჩუქრები, რომელიც მიართვა მობენეფისეს საზოგადოებამ. პირველ გამოსვლისთანავე მიართვეს მშვენიერი თაიგული და რაიოკიდგან გადმოაბნიეს აუარებელი ფერად-ფერადი ქაღალდები ზედ წარწერით: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო“ და სხვა ამ გვარი. შემდეგ—ასი მანეთი ფულად შნოიან მელხიორის კოლოფით; ქალებმა—სურათებიანი ვეფხვის ტყაოსანი, დაახლოვებულმა ნაცნობებმა—ჩაისა და შოკოლადის ვერცხლის მოწყობილობა, ოქროში დაფერილი, არტისტებმა—12 ვერცხლის კოვზი, ოქროში დაფერილი, და თან ყველა მათგანმა—ვიზიტის ბარათზე შაირით დაწერილი მისი ნიჭის ქება-დიდება; ქ-ნმა მ. ჩიკვაიძემ—სტაქნის ჩასადგმელი; და ბოლოს, დასაგვირგვინებლად ყოველ ამისა, რაიოკმა მიართვა დაფნის გვირგვინი ლენტით, რომელზედაც ეს წარწერა იყო: „უძღვნი ჩვენს საყვარელ არტისტ ქალს ეფ. მესხისას“.

კ. ბ—ძე

*) იხ. „ივერია“ № 40.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. არბო,** თებერვლის 2 (გორის მაზრა). ამ ჟამად, როგორათაც ჩვენი პატარა სოფელი, ისე მის გარეშემო მდებარე საზოგადოებანი, მეტის მეტად შეწუხებულნი არიან. მიზეზი ამისა გახლავთ წლევანდელი საშინელი ზამთარი. ზაფხულში ბოროტ სენისაგან თავ-ზარ დაცემულნი ღმერთს სულ ამას ვევედრებოდით: მოგვაშორე ეს წყეული სიცხე-პაპანაქება და მალე მოიყვანე ზამთარი თავის თოვლითა და ყინვებითაო. და აი ესეც ჩვენი ზამთარი თავის აუარებელის თოვლითა და ნამდვილ ჩრდილოეთურის ყინვებითა. მაგრამ საწყალ კაცისათვის განა როდისმე გათენებულა? ახლა ამათ წაგვიჭირეს ყელში ხელი და ლამის იმ გვარსავე გაჭირვებაში ჩაგვაგდონ, როგორიც ვწვნიეთ ძნელად დასავიწყარ წარსულ ზაფხულს.

დადგა ახალი წელიწადი და მას აქეთია თოვლისა, ყინვისა და სუსხიან ქარაშოტისაგან მოსვენება აღარ აქვს საბრალო „ბუნების გვირგვინსა“. თითქო კუდი-კუდზე აქვთ გადაბმულიო, ისე განუშორებლივ სამივე ერთად დაბრძანდებიან დ ავაზაკურად დათარეშობენ ჩვენს სოფელსა და მინდვრებში. წინაპირველად თოვლის მოსვლამ ისე გვასიამოვნა, როგორც გულუხვ მასპინძელს გაახარებს ხოლმე სასურველი სტუმრის წვევა. როცა ჩვენი სამერმისოდ დახნულ-დათესილი მინდვრები, სპეტაკ თეთრ საბანში გახვეული, დავინახეთ, ჩვენს გამჩენს მეუფეს ლოცვა-კურთხევას უხვად ვუგზავნიდით და მომავალ მოსავლიან ზაფხულს წინდაწინვე სამღვთოს გადახდას ვპირდებოდით. მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე... დაგვიბერა წყეულმა ქვენა-ქარმა და მოსვენებულ-მიყუჩებული ბუნება სწორედ ზღაპრულ ჯოჯოხეთად გადაგვიქცია! წმინდა, გაკრიალებული ჰაერი დაჰბურა მიწიდგან ატანილის თოვლითა და გაავსო წვეტიანის ყინულის ნამცეცებითა, რომელთაც საფანტივით გვაყრის თავსა და პირში. გადარია ყველგან გზა და კვალი და ამოავსო ნამქერით ხრამები და ხევები სახიფათოდ იმ უბედურ მგზავრთა, რომელნიც ამ ჟამად სახლ გარედ დარჩენილან. წინადაც ხომ ძალზედ ჰყინავდა, მაგრამ იანვრის თხუთმეტიდამ ყინვამ უცებ მოუმატა და ამ უკანასკნელ დღეებში ისეთ ძლიერებამდის ავიდა, რომლის მსგავსი ჩვენ მხარეს, კაი ხანია, არ უნახავს. გული გვევსება სევდითა და ნაღველით, როდესაც ჩვენს დიდ მოამაგე და დიდათ ნაამაგდარ ვენახებს ვუცქერით და ცხადათა ვხედავთ მათ გაჭირვებულ მდგომარეობას... ვინ იცის, ამ საშინელ ზამთარს მშვიდობით გადურჩება თუ არა ჩვენი მანუგეშებელი, ჩვენი გამხარებელი, ჯავრისა და დარდის გამნელებელი ვაზი!!.

მაგრამ, როდესაც თვით ადამიანი ვარდება სახიფათო მდგომარეობაში, მაშინ ის ყველა გარეშე უბედურებათ როგორღაც გულ-გრილად უცქერის: აღარა სწუხს ისე, როგორი მწუხარეც იქნებოდა, თავისი თავიც რომ საზრუნველი არ გახდომოდა. სწორედ ესეთი საქმე გვემართება ამ ჟამად ჩვენცა! საშინელი ყინვა სულთა-მხუთავივით დაგვტრიალებს თავსა და ჩვენ-კი, წკირი შეშა რა არის, ისიც კი არსად არ მოგვეპოვება. ჩვენი სოფელი სულ ოცდა ხუთ კომლ სახელმწიფო გლეხისაგან შესდგება. ჩრდილოეთით სოფელს ზედ აკრავს პატარა ბუჩქნარიანი ჭალა, რომელსაც ჩვენი წინაპარნი, ისე ეხლანდელ ნი მცხოვრებელნი ახლომახლო სოფლებისა „არბოს ჭალას“ ეძახიან და რომელიც კაი შაღავათს გვაძლევდა ხოლმე ყოველს ამ გვარ გაჭირვების დროსა: თავისუფლად გამოგვქონდა იქიდამ ხმელი კუნძები, ფიჩხი, წნელი და სხვ. აღმოსავლეთით, სამიოდ ვერსის მანძილზედ, ამართულია კულბითის ვეებერთელა სახემწიფო მთა, დაფარული მშვენიერის ტყითა; ხოლო ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ ამ გვარივე სახემწიფო ტყე უძევს ჩვენ სოფელსა, ესეც ხუთიოდ ვერსის სიშორით. ამ ნაირად ტყე და ჭალები თითქმის ყოველ მხრიდამ გვახვევია და ისიც იქვე ცხვირ-წინ. მუდამ წამს შევცქერივართ, მაგრამ მუდამ წამსვე სიცივით ვიფიჩხებით. „არბოს ჭალა“ სხვა სოფლის მემამულეებმა წაგვართვეს! არბოელი გლეხები მდიდრები არიან და ეს ჭალა მათთვის სრულიად მეტ ბარგს შეადგენსო, იფიქრეს მეზობელმა თავადებმა; ასტეხეს დავი-დარაბა, დაიჭირეს ადვოკატები, ეს მეცხრამეტე საუკუნის დამამშვენებელი სოფისტები, ყელთამდის ვალსა და სილატაკეში ჩამხრჩვალ გლეხებს წმიდათ დააბანინეს ხელები. მას აქეთია ვაი იმ არბოელის ტყავს, რომელიც გაბედავს ამ ჭალაში შესვლასა! და რადგან მომეტებული ტყავი არავის არა აქვს, ამიტომ დაიკრიფეს გულხელი და მოშორდნენ სახიფათო ადგილსა. რაც შეეხება მოხსენებულ სახემწიფო ტყეებს, აქაც არბოელი გლეხები ხახა-მშრალები დარჩნენ. ამ შვიდი-რვა წლის წინად თავისუფლად გამოჰქონდათ თავიანთ სამყოფი შეშა-ფიჩხი ვანათის სახელმწიფო ტყიდამ, მაგრამ გატყვრა უცებ რაღაც მოულოდნელი მიზეზი და მას აქეთია ზედაც აღარ ასუნებინეს ამ ტყესა. ამ

დროდამ შეიკრა და შეინახავა არბოელების ბედ-იღბალიცა...

არბოელი

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ დაჰბეჭდოთ „ივერიაში“, რომ იგორთის ეკლესიის განახლების კომიტეტს მოუვიდა შემოწირულებანი: 1., გენერალ-მაიორის ნიკოლოზ ბიძინას ძე ერისთავისაგან სამასი მანეთი (300 მან. და 2 კ.); ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავისაგან ასი მანეთი (100 მან.). კომიტეტს აქამდე ჰქონდა სამას თვრამეტი თუმანი ექვსი მანეთი და ორმოცდა თორმეტი კაპეიკი (3186 მ. 52 კ.); ეხლა შესდგა სამას ორმოცდა თვრამეტი თუმანი, ექვსი მანეთი და ორმოცდა თორმეტი კაპეიკი (3586 მ. 52. კ.)

წევრი იგორთის ეკლესიის განახლების კომიტეტისა, ბლაღოჩინი—მღვდელი გორის სობოროსი იოსებ გამრეკელი.

19 თებერვალს, 1893 წ.
ქ. გორი.

---

# დეპეშა

24 თებერვალი.

**პეტერბურგი.** რადგან შინაგან საქმეთა სამინისტროს ხშირად მოსდის თხოვნა—ერთი-ორი ფუთი კრისტალლიური კარბოლის სიმჟავე გამოგვიგზავნეთო, ამიტომ სამკურნალო დეპარტამენტი აცხადებს, რომ ამ სიმჟავის დაბარება შეიძლება მხოლოდ პატარ-პატარა ბოჰკობით, რომელიც სულ 10—11½ ფუთს იწონს.

**ბერლინი.** რეიხსტაგმა უარჰყო ის ხარჯი, რომელიც მთავრობას უნდოდა ხომალდების ასაგებად.

**პარიჟი.** დღეს ბრისსონმა თავი დაანება საპარლამენტო გამომძიებელ კომისიის თავმჯდომარეობას, რადგან აპერაციის შემდეგ დიდხანს მოსვენებით ცხოვრება მესაჭიროებაო.

**სოფია.** (18) 30 აპრილს საერო კრების წევრთა ამორჩევა დაიწყება. კრება კონსტიტუციის შეცვლას უნდა შეუდგეს.

პეტერბურგის ბირჟა, 23 თებერვ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ნუთ-მანათიანი ოქრო . | 7,56 | 7½ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151¼ | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,07 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 240 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 227½ |
| ახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 194½ |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . . | 102 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.
ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.
„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.
ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.
ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.
განჯიდგან ტფილისს მოდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

---


# განცხადებანი

თესლეულობით ვაჭრობა
პ. გ. ლარშესი
მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.
მივიღე
**ახალი თესლეულობა**
ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბალახეულისა.
კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება.
(15—3)

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—20)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**
მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა, პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| ნაქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |
| კიკოლას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი, ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფფიასა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . | „ | 25 |
| სამი ცელქ, საყმაწვილო სურათიანი წიგნი შ. მღვიმელისაბი . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . | „ | 50 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |

# მეფარნემეზი
სავაჭრო სახლი
**ბენდერ-სტეფანოვი**
**ტფილისის განყოფილება** სოლოლაკ. ქ. სახ. აღაბაბოვისა.
**ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:**

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.
ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.
სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.
ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.
ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.
სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულქების საქსოვად.
მზა-მზარეული სარფინკის ტანისამოსი.
პერანგები კაცისა:
„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.
საცვლები მანდილოსნებისათვის:
პერანგები, კოფთები და კალსონები.
ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

ქარხნის ფასად, იაფად. (35—1)

# აგური

კაპიტანის მეუღლის ეკატერინე ისაკის ასულის კალატოზიშვილის ახლად გამართულ აგურის ქარხანაში იყიდება რუსული საუკეთესო აგური და ქართულიც **ბაცილებით იაფად, ვიდრე სხვა ქარხანებში.** აგურის მყიდველთ შეუძლიანთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: ნოვაშენის ქუჩა, სახლი ბადრიძესი № 3. ვთხოვთ მსურველთ, ორი კვირის წინად შემოგვიკვეთონ ხოლმე, რამდენის აგურის ყიდვაც უნდათ.

(6—1)



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ
# „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვარობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორრესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.